

შეთანხმება

კატარის სახელმწიფოში ——— სამუშაო ძალის დასაქმების შესახებ

კატარის სახელმწიფოს მთავრობასა და

----- მთავრობას შორის

შემდგომში მოხსენიებულნი, როგორც „მხარეები“, რომელთაც სურთ თავიანთი მეგობრული კავშირების განმტკიცება;

სურთ დაარეგულირონ რა ----- სამუშაო ძალის დასაქმება

კატარის სახელმწიფოში,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი (1)

კატარის სახელმწიფოს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და ---- სახელმწიფოს --
---სამინისტრო დააფუძნებენ აუცილებელ წესებსა და დებულებებს, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებისთვის.

მუხლი (2)

სამუშაო ძალის დასაქმება ----- -დან, მათი შემოსვლა და დასაქმება კატარის სახელმწიფოში დაარეგულირდება ორ ქვეყანაში მოქმედი შესაბამისი კანონებისა და პროცედურების მიხედვით.

მუხლი (3)

1-კატარის სახელმწიფოს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო წარუდგენს ---- სახელმწიფოს ----- სამინისტროს დასაქმების აპლიკაციებს დამსაქმებლებისგან კატარის სახელმწიფოში ----სამუშაო ძალის დასაქმების მიზნით. ----- სახელმწიფოს ----- სამინისტრო შეეცდება დააკმაყოფილოს ასეთი აპლიკაციები მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების და საშუალებების მეშვეობით.

2- თუ კატარის სახელმწიფოში დამსაქმებელს სურს სპეციალური კვალიფიკაციების მქონე --
--- სამუშაო ძალის დასაქმება, მან უნდა მიუთითოს ეს კვალიფიკაციები კატარის სახელმწიფოს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსადმი აპლიკაციაში.

3- კატარის სახელმწიფოს დამსაქმებელმა, ან მისი პერსონალიდან დანიშნულმა წარმომადგენელმა, ან დასაქმების ოფისმა, რომელიც უფლებამოსილია შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, უნდა შეასრულოს დასაქმებულის შერჩევისა და მათი — დან კატარის სახელმწიფოში მგზავრობისათვის საჭირო ყველა პროცედურა.

მუხლი (4)

დასაქმების განაცხადებში აღნიშნული უნდა იყოს საჭირო კვალიფიკაცია, გამოცდილება და სპეციალობა, კონტრაქტის ვადის სავარაუდო ხანგრძლივობა, დასაქმების დეტალური პირობები, განსაკუთრებით ანაზღაურების პირობები, კომპენსაცია (ავანსი) სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში, გამოსაცდელი პერიოდი და ტრანსპორტირების და დაბინავების პირობები, აგრეთვე ყველა ელემენტარული ინფორმაცია, რაც საშუალებას მისცემს დასაქმებულებს მიიღონ გადაწყვეტილება დასაქმების კონტრაქტზე ხელმოწერასთან დაკავშირებით.

მუხლი (5)

----- სახელმწიფოს ---- სამინისტრო მიიღებს საჭირო ზომებს იმისათვის, რომ გაამარტივოს სამედიცინო შემოწმების პროცედურები, მოიპოვოს პასპორტები და მგზავრობის ნებართვები დასაქმებულებისთვის, რათა მათ შეძლონ კატარის სახელმწიფოში მუშაობა და აგრეთვე, მიაწოდოს ასეთ დასაქმებულებს სამუშაო პირობებთან, ხარჯებთან და კატარის სახელმწიფოში საცხოვრებელ სტანდარტებთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

მუხლი (6)

კატარის სახელმწიფოს მთავრობამ შესაძლებელია განახორციელოს პროცედურები — დასაქმებულების რეპატრაციასთან დაკავშირებით, მას მერე, რაც მათ ამოწურებათ დასაქმების ხელშეკრულებები. მათ აგრეთვე შეუძლიათ განახორციელონ მსგავსი პროცედურები ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე მაშინ, როდესაც დასაქმების საჭიროება აღარ იქნება აქტუალური, იმის გათვალისწინებით, რომ ამ შემთხვევაში დასაქმებულებს გადაუხდიან დაგროვილ ანაზღაურებას დასაქმების კონტრაქტის პირობების თანახმად, კატარის სახელმწიფოს შრომის კანონის შესაბამისად.

მუხლი (7)

კატარის სახელმწიფოს მთავრობამ შესაძლებელია განახორციელოს პროცედურები — დასაქმებულების რეპატრაციასთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც მათი ყოფნა კატარის სახელმწიფოში ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესს ან სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებას. ეს მოხდება იმ უფლებებისადმი ზიანის მიყენების გარეშე, რაც მინიჭებული აქვთ დასაქმებულებს დასაქმების კონტრაქტის ან კატარის სახელმწიფოს შრომის კანონების შესაბამისად.

მუხლი (8)

ა- დამსაქმებელი იღებს პასუხისმგებლობას დაფაროს დასაქმებულის მგზავრობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ---- -დან სამუშაო ობიექტამდე კატარში და აგრეთვე გადაიხდის კატარის რესპუბლიკიდან მათი უკან დაბრუნების ხარჯებს, დასაქმების დასრულებისთანავე. დამსაქმებელი აგრეთვე აანაზღაურებს დასაქმებულის მგზავრობის ხარჯებს შვებულების დროს. ასეთ ხარჯებში არ შედის პასპორტის აღების ხარჯი ან რაიმე სადეპოზიტო ხარჯები.

ბ- დამსაქმებელი არ არის ვალდებული აუნაზღაუროს დასაქმებულის სახლში დაბრუნების საფასური შემდეგ ორ შემთხვევაში:

1. როდესაც დასაქმებული წამოვა სამსახურიდან ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე.
2. თუ ის დაუშვებს ისეთ შეცდომას, რომლის საფუძველზეც აუცილებელი გახდება მისი სამსახურიდან დათხოვნა გაფრთხილების და კომპენსაციის (ავანსის) გადახდის გარეშე, კატარის სახელმწიფოს შრომის კანონის შესაბამისად.

მუხლი (9)

- 1- ---- დასაქმებულების დასაქმების პირობები კატარის სახელმწიფოში განსაზღვრული იქნება ინდივიდუალურ სამუშაო კონტრაქტში, რომელიც გაფორმდება დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის, წინამდებარე ხელშეკრულებაზე მიმაგრებული სანიმუშო კონტრაქტის შესაბამისად. კონტრაქტში მოყვანილი იქნება საბაზისო სამუშაო პირობები, რაც უკავშირდება მოვალეობებსა და უფლებებს, წინამდებარე ხელშეკრულების დებულებების და კატარის შრომის კანონის შესაბამისად.
- 2- წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმდება არაბულ და ინგლისურ ენაზე, სამ ორიგინალ ეგზეპლარად, ერთი ეგზეპლარი უნდა ინახებოდეს დამსაქმებელთან, მეორე დასაქმებულთან, ხოლო მესამე კატარის სახელმწიფოს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.

მუხლი (10)

ინდივიდუალური დასაქმების კონტრაქტი მოიცავს დამსაქმებელის ვალდებულებების დეტალებს, ისეთი როგორიცაა დასაქმებულის დაბინავება და დაბინავების ტიპი ან დაბინავებისთვის განკუთვნილი თანხის გადახდა და სამედიცინო დახმარება.

მუხლი (11)

არაბულ ენაზე შედგენილი დასაქმების კონტრაქტის ტექსტს აღიარებს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და შესაბამისი ორგანოები კატარის სახელმწიფოში.

დამსაქმებელს არ აქვს უფლება შეიტანოს რაიმე ცვლილებები დასაქმების კონტრაქტში, თუ კი ეს ცვლილებები არ იქნება დასაქმებულის სასარგებლოდ განხორციელებული და დამტკიცებული კატარის სახელმწიფოს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

მუხლი (12)

დასაქმების კონტრაქტი ხელმოწერილი იქნება კატარის სახელმწიფოს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ და დოჰაში ----- საელჩოს მიერ, იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტი გაფორმებული იქნება დოჰაში. ის კონტრაქტები, რომლებიც გაფორმებული იქნება ----- ხელი მოეწერება -----სამინისტროს მიერ ----- -ში და კატარის სახელმწიფოს საელჩოს ან საკონსულოს მიერ.

მუხლი (13)

1 – კატარის სახელმწიფოს შრომისა და სოციალური დაცვის კომპეტენტური უწყება მონიტორინგს გაუწევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

3- თუ კი დამსაქმებელს და დასაქმებულს შორის წარმოიშვება რაიმე დავა დასაქმების კონტრაქტთან დაკავშირებით, ამ დავის სწრაფი გადაჭრის მიზნით, მხარემ თავისი პრეტენზიით უნდა მიმართოს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. თუ კი ამ დავის გადაჭრა ვერ მოხერხდება, დავა განიხილება კატარის სახელმწიფოს კომპეტენტური სასამართლო ორგანოების მიერ.

მუხლი (14)

დასაქმების კონტრაქტი გაუქმდება მისი ვადის ამოწურვისთანავე წინასწარი გაფრთხილების გარეშე. თუ დამსაქმებელი აპირებს ხელშეკრულების გაგრძელებას, მან უნდა შეატყობინოს ამის შესახებ დასაქმებულს წერილობითი ფორმით ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე, სულ ცოტა, 30 დღით ადრე.

მუხლი (15)

დასაქმებულს ეძლევა უფლება გადარიცხოს თავისი ხელფასიდან დანაზოგები, კატარის სახელმწიფოს საფინანსო დებულებების შესაბამისად.

მუხლი (16)

ორივე მხარე შექმნის ერთობლივ კომიტეტს, რომელიც იქნება შემდგარი არა უმეტეს სამი წევრისგან, თითოეული მხარიდან, რათა მათ შეასრულონ შემდეგი ფუნქციები:

1- განახორციელონ კოორდინირება ორ სახელმწიფოს შორის, რათა შესრულდეს წინამდებარე ხელშეკრულება და მოხდეს შესაბამისი ზომების მიღება ამასთან დაკავშირებით.

- 2- განმარტონ წინამდებარე ხელშეკრულების პირობები დავის წარმოშობის შემთხვევაში და მოაგვარონ ამ პირობების შესრულების დროს წარმოშობილი პრობლემები.
- 3- გადახედონ კატარის სახელმწიფოში სამუშაო ვაკანსიებს, მათ შორის კატარის სახელმწიფოს განვითარების გეგმების შესახებ ზოგად ინფორმაციას, ამ გეგმებთან დაკავშირებულ პოტენციურ სამუშაო შესაძლებლობებს და ასევე შრომის და საჭირო უნარების ტიპებს და ---- დასაქმებულების მიერ ამ შესაძლებლობების გამოყენების სურვილს.
- 4- საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ან ზოგიერთ პირობაში შესთავაზონ ცვლილებების შეტანა ან გადახედვა.

კომიტეტი მონაცვლეობით ჩაატარებს შეხვედრას ორ ქვეყანაში წელიწადში ერთხელ, როცა ეს საჭირო იქნება.

მუხლი (17)

წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში და ეს ცვლილებები ძალაში შევა ორივე ქვეყანაში იმ ერთიდაიგივე პროცედურების გავლის შემდეგ, რომლებიც საჭიროა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

მუხლი (18)

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შევა რატიფიცირების სიგელების გაცვლის დღიდან, ორ ქვეყანაში განხორციელებული პროცედურების შესაბამისად, ძალაში იქნება სამი წლის განმავლობაში და შესაძლებელი იქნება მისი განახლება იმავე პერიოდით, თუ რომელიმე მხარემ არ მოინდომა მისი გაუქმება ვადის ამოწურვამდე ან გაუქმებამდე 6 თვით ადრე წერილობითი ფორმით.

ამის დასადასტურებლად შესაბამისი მთავრობის ორმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ხელი მოაწერა წინამდებარე ხელშეკრულებას.

გაფორმებულია დოკაში ---/./2014. შეესაბამება .../.... .20 გაცემულია ორ ორიგინალ ასლად არაბულ, ინგლისურ და ——— ენებზე, ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტურია. რაიმე განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ენაზე შედგენილ ორიგინალს.

კატარის სახელმწიფოს მხრიდან

----- მხრიდან

დანართი

დასაქმების სანიმუშო კონტრაქტი

----- შესაბამისად წინამდებარე კონტრაქტი გაფორმდა შემდეგ მხარეებს შორის

1. ბატონი/ -----როგორც -----

მისამართი -----

(ერთი მხარე)

2. ბატონი/ ----- პასპორტის ნომერი-----

პირადობის მოწმობის ნომერი ----- -----მცხოვრები ----- შემდეგ მისამართზე

(მეორე მხარე)

რომლებიც თანხმდებიან შემდეგზე:

1. მეორე მხარე დასაქმდება პირველი მხარის მიერ ----პოზიციაზე კატარის სახელმწიფოში და მისი თვითონ ანაზღაურება იქნება -----

2. კონტრაქტის პერიოდი:

ა - წინამდებარე კონტრაქტი გაფორმებულია 1 წლის/ 2 წლის ვადით და ათვლა დაიწყება იმ დღიდან, როდესაც მეორე მხარე დაიწყებს მუშაობას კატარის სახელმწიფოში. პირველი ექვსი თვე იქნება გამოსაცდელი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც პირველ მხარეს აქვს უფლება გააუქმოს ხელშეკრულება, ექვსთვიანი გამოსაცდელი ვადის ამოწურვამდე, ერთი კვირით ადრე მეორე მხარისთვის აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებით და იგი ვალდებულია გადაუხადოს მეორე მხარეს სახლში გამგზავრების საფასური. თუ დასაქმებული წარმატებით დაასრულებს გამოსაცდელ პერიოდს, კონტრაქტი ძალაში იქნება დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. წინამდებარე კონტრაქტი გაუქმდება ვადის ამოწურვისთანავე, წინასწარი გაფრთხილების გარეშე. თუ პირველ მხარეს სურს კონტრაქტის გაგრძელება, მან მეორე მხარეს უნდა შეატყობინოს ამის შესახებ წერილობითი ფორმით, კონტრაქტის ამოწურვამდე სულ ცოტა ოცდაათი დღით ადრე.

ბ- კონტრაქტის გაუქმება ვადის ამოწურვამდე შეუძლებელია ორივე მხარის თანხმობის გარეშე. სანამ მეორე მხარე წამოვა სამსახურიდან, ის ვალდებულია გადაუხადოს პირველ მხარეს ყველანაირი დავალიანება, რომელიც მას გააჩნია პირველ მხარესთან.

3. მგზავრობის ხარჯები

ა. პირველი მხარე იღებს ვალდებულებას დაუფაროს მეორე მხარეს მგზავრობის ხარჯები სამუშაო ადგილამდე კატარის სახელმწიფოში და სამუშაო ადგილიდან სახლამდე. იგი, ასევე, გადაუხდის მეორე მხარეს ორმხრივი ბილეთის საფასურს შვებულების დროს, რომელიც ნახსენებია დასაქმების კონტრაქტში. ამ ხარჯებში არ შედის პასპორტის ღირებულება და რაიმე საგარანტიო თანხები.

ბ. პირველი მხარე არ არის ვალდებული აუნაზღაუროს დასაქმებულს სახლში დაბრუნების საფასური შემდეგ ორ შემთხვევაში:

1. თუ დასაქმებული წამოვა სამსახურიდან დასაქმების კონტრაქტის ვადის დასრულებამდე.
2. თუ ის დაუშვებს ისეთ შეცდომას, რომლის საფუძველზეც გახდება აუცილებელი მისი სამსახურიდან დათხოვნა, გაფრთხილების და კომპენსაციის (ავანსის) გადახდის გარეშე კატარის სახელმწიფოს შრომის კანონის შესაბამისად.

4. სესხები:

ა. პირველ მხარეს შეუძლია, სურვილისამებრ, გადაუხადოს მეორე მხარეს თანხა ----- სესხის სახით კატარის სახელმწიფო ვალუტაში, როდესაც ის პირველად ჩამოვა კატარის სახელმწიფოში (დაახლოებით ერთი თვის ხელფასი), რომელიც შემდგომში გამოაკლდება მეორე მხარის თვიურ ხელფასს 10%-ის ოდენობით, სანამ არ დაიფარება ეს სესხი.

ბ. ამ 10%-ის გამოკლება ხელფასიდან დაიწყება პირველივე სახელფასო თვის ამოწურვიდან, მას მერე, რაც მეორე მხარე დაიწყებს მუშაობას.

გ. სხვა სესხები, რომლებიც მეორე მხარეზე გაიცემა კატარის ვალუტაში რეგულირდება იმ პირობების შესაბამისად, რომლებიც ნახსენებია ზედა ორ პარაგრაფში.

5. ანაზღაურება და კომპენსაციის (ავანსი):

ა. თვიური და დღიური ანაზღაურების დასაქმებულები. ძირითადი ხელფასი იქნება ----- თვიური/დღიური, კვირაში 48 საათი მუშაობისთვის. მეორე მხარეს ექნება ერთი ანაზღაურებადი დასვენების დღე კვირაში და მას გადაუხდიან ნაღდ ფულს ზეგანაკვეთური მუშაობისთვის კატარის შრომის კანონის დებულებების შესაბამისად.

ბ. წარმოებისთვის, საერთო ან ერთ ერთეულზე მომუშავე დასაქმებულისთვის: ძირითადი ხელფასი იქნება -----, რომელიც საშუალო დღიური შრომისთვის შემდეგნაირად

განისაზღვრება -----. დამატებითი ანაზღაურება იქნება გადახდილი შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით, თუ ეს სამუშაო მოცულობა აღემატება საშუალო შესრულებული სამუშაოს მოცულობას, შემდეგნაირად: ----- იმ შემთხვევაში თუ არ არის წარმოების სამუშაო, მეორე მხარის ხელფასი იქნება -----

გ. პირველმა მხარემ საკუთარ თავზე უნდა აიღოს დამატებითი დღიური სამუშაო საათების ჩაწერა, წინამდებარე მუხლის პირველი (ა) პარაგრაფის შესაბამისად, ან შესრულებული სამუშაოს მოცულობის ჩაწერა წინამდებარე მუხლის (ბ) პარაგრაფის მიხედვით, სპეციალურ ბარათში, რომელიც გადაეცემა დღის ბოლოს პირველ მხარეს რეგისტრაციისთვის.

დ. მომსახურების დასრულებისთვის ავანსი უდრის -----

6. საცხოვრებელი პირობები და დაბინავება

ა- პირველი მხარე იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მეორე მხარისთვის სათანადო საცხოვრებელი პირობები, აგრეთვე სახლში ელექტროენერგია, საწოლები და ტუალეტები ჯანმრთელობის (სანიტარული) პირობების შესაბამისად.

ბ- პირველი მხარე უზრუნველყოფს მეორე მხარისთვის ცივ დასალევად ვარგის წყალს.

7. ჯანდაცვა და სოციალური კეთილდღეობა

ა- პირველი მხარე უზრუნველყოფს მეორე მხარეს საჭირო სამედიცინო დახმარებით კატარის სახელმწიფოს დებულებების და რეგულაციების შესაბამისად.

ბ- პირველი მხარე იღებს პასუხისმგებლობას გადაუხადოს მეორე მხარეს კომპენსაცია სამუშაოზე უბედური შემთხვევების, ინვალიდობის, ან სიკვდილის დროს, თუ ესეთი შემთხვევა მოხდება სამუშაო დროის განმავლობაში, ან სამუშაოს გამო, კატარის კანონების შესაბამისად.

8. შვებულება

ა - მეორე მხარეს ეკუთვნის ანაზღაურებადი, არანაკლებ სამკვირიანი შვებულება წელიწადში ერთხელ კატარის შრომის კანონის 72 მუხლის შესაბამისად.

ბ- მეორე მხარეს ეკუთვნის სრული ანაზღაურება შემდეგ ოფიციალურ დასვენების დღეებში:

- ურაზა-ბაირამი: სამი სამუშაო დღე
- ყურბან-ბაირამი: სამი სამუშაო დღე
- ეროვნული დღე: ერთი სამუშაო დღე

ასევე, მეორე მხარეს ეკუთვნის სამდღიანი ანაზღაურებადი შვებულება, რომელიც განისაზღვრება დამსაქმებლის მიერ.

გ - ავადმყოფობის გამო, მეორე მხარეს ეკუთვნის ანაზღაურებადი შვებულება, სამი თვის უწყვეტი მუშაობის შემდეგ, კატარის შრომის კანონის დებულებების შესაბამისად.

9. ზოგადი დებულებები:

ა - მეორე მხარე იღებს ვალდებულებას სათანადოდ შეასრულოს თავისი ყოველდღიური სამუშაო მოვალეობები, დღიური სამუშაოს შესრულების ნორმების შესაბამისად. თუ ის ვერ შეასრულებს დღიური სამუშაოს შესრულების ნორმებს, მას დაეკისრება ჯარიმები.

ბ - დასაქმების პერიოდში მეორე მხარეს არ აქვს უფლება იმუშაოს სხვასთან, ხოლო პირველ მხარეს არ აქვს უფლება აიძულოს მეორე მხარე, რომ მან იმუშაოს სხვასთან დასაქმების პერიოდში. გამონაკლისი შემთხვევები ნახსენებია კატარის შრომის კანონებში.

გ - მეორე მხარე დებს პირობას, რომ ის არ ჩაერთვება პოლიტიკურ ან/და რელიგიურ პროცესებში. ის პატივისცემით გაითვალისწინებს ადგილობრივ ტრადიციებს და ჩვეულებებს.

დ - კატარის შრომის კანონი და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები წარმოადგენს წინამდებარე კონტრაქტის პირობების სამართლებრივ საფუძველს და მისი საშუალებით უნდა გადაწყდეს ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშვება ორ მხარეს შორის, თუ წინამდებარე კონტრაქტის პირობები არ მოიცავს უფრო ხელსაყრელ პირობებს მეორე მხარისთვის.

ე - წინამდებარე კონტრაქტი შევა ძალაში ორი სახელმწიფოს კომპეტენტური უფლებამოსილი პირების მიერ სათანადო რატიფიკაციის შემდგომ.

10 - წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია არაბულ და ინგლისურ ენებზე სამ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი შეინახება დამსაქმებელთან, მეორე დასაქმებულთან, ხოლო მესამე კატარის სახელმწიფოს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.

ერთი მხარე (დამსაქმებელი)

მეორე მხარე (დასაქმებული)

ინდოსამენტები:

რატიფიცირებულია და დამტკიცებულია

საელჩოს ან საკანსულოს მიერ ---- კატარის სახელმწიფოში ----- /—/—/

ან

კატარის სახელმწიფოს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ

ან

კატარის სახელმწიფოს საელჩოს ან საკონსულოს მიერ ----- ში(ადგილი) ----- /—/—/

ან

-----სამინისტროს მიერ ----- /—/—/